

მცირე და საშუალო წარმოების
ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს
ფასს) შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2019 წელი

შპს ველინგტონი

ს/კ 401987864

ანგარიშგება მომზადებულია:

30.09.2020წ

სარჩევი

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
შემოსავლის ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ზოგადი მიმოხილვა საწარმოს შესახებ	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	2019	2018	2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	5,000	85,000	49,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	534,000	540,000	359,000
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	69,000	35,000
მარაგები		1,040,000	765,000	582,000
მზა პროდუქცია		1,026,000	683,000	222,000
სხვა		14,000	82,000	360,000
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები				-
ძირითადი საშუალებები	5	1,127,000	952,000	1,039,000
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		607,000	123,000	
სულ აქტივები		3,313,000	2,534,000	2,064,000
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	442,000	292,000	101,000
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		33,000	36,000	
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		252,000	132,000	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		840,000	355,000	119,000
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები		1,000		
სულ ვალდებულებები		1,568,000	815,000	220,000
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		4,500,000	4,500,000	4,500,000
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2,762,000)	(2,788,000)	(2,663,000)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		7,000	7,000	7,000
სულ საკუთარი კაპიტალი		1,745,000	1,719,000	1,844,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,313,000	2,534,000	2,064,000

შემოსავლის, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ლარი)

	2019	2018
ნეტო ამონაგები	3,722,000	2,840,000
საქონლის გაყიდვიდან	3,722,000	2,840,000
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	(2,884,000)	(2,389,000)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	838,000	451,000
სხვა საოპერაციო შემოსავალი	18,000	37,000
დასაქმებულთა ანაზღაურება		
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(721,000)	(540,000)
სულ საოპერაციო ხარჯები	(703,000)	(503,000)
საოპერაციო მოგება	135,000	(52,000)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	(40,000)
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(109,000)	(33,000)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	26,000	(125,000)
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	26,000	(125,000)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	26,000	(125,000)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,719,000	1,844,000
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,745,000	1,719,000

ფულადი სახსრების მოძრაობა (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	180,000	12,000
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(216,000)	(81,000)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(48,000)	105,000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(84,000)	36,000
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(4,000)	22,909
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	85,000	49,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,000	85,000

1. ზოგადი მიმოხილვა საწარმოს შესახებ

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ველინგტონი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დაარეგისტრირა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2013 წლის 3 სექტემბერს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 401 987 864

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ნავთლულის ქ., №8ა, კომპანიის მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არის ჟან-ფრედერიკ პოლსენ (პ/ნ 01601125905) - 100%

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის დირექტორია - გიორგი დარახველიძე (პ/ნ 01019049494)

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს კარტოფილის ჩიფსის წარმოება.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსები არის შემდეგი:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.8677
ევრო/ლარი	3.0701	3.2095

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

შპს-ს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გამოყენებულია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“;
- “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები” (ფასს)

მოცემული საარიცხოვო პოლიტიკა მოქმედებაში შედის 2013 წლის 9 სექტემბერიდან და გამოყენებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

სააღრიცხოვო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ფასს-ის, ბასს-ის ან ინტერპრეტაციების მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად საწარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე შემუშავებული სამუშაო ანგარიშთა გეგმით.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული პროგრამის “ორის-ბუღალტერიის” გამოყენებით.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია ფინანსური ჯგუფი და საზოგადოების ხელმძღვანელი.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი სახსრების აღრიცხვა

ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საბანკო გადარიცხვებით. ნებადართულია ნაღდი ანგარიშსწორებით ოპერაციების განხორციელება გამონაკლის შემთხვევაში; მიღებული ნაღდი ფულის შეტანა ხდება კომპანიის ძირითად საბანკო ანგარიშზე.

სავაჭრო და მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნები მიწოდებიდან ბალანსში აისახება ნეტო თანხით ანუ საექვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით;

საექვო მოთხოვნების ანარიცხების თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნაშთად დარჩენილი მოთხოვნებიდან 3 %-ის ოდენობით;

უიმედო ვალად აღიარდება ერთ წელიწადის განმავლობაში დაუფარავი დავალიანება და ჩამოიწერება შექმნილი ანარიცხებიდან.

ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან წარმოებს კორპორატიული ბარათებით; საავანსო ანგარიშის წარდგენა ხდება კვირაში ერთხელ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

შემენილი საქონელი შემოსავალში აიღება შემენის ფაქტიური თვითღირებულებით; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხება მუდმივი აღრიცხვის მეთოდით; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO ღირებულების მეთოდით; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ბალანსში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდება წელიწადში ერთხელ, რაზეც დგება შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც გადაეცემა ბუღალტერიას;

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, ასევე კაპიტალის სახით დამატებითი შენატანებისგან, რაც დამფუძნებლისგან მიღებული სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების შედეგად წარმოიქმნება, და გაუნაწილებელი მოგებისაგან. წმინდა მოგების განაწილება ხდება ფინანსური ანგარიშგების შპს-ს პარტნიორის მიერ საერთო კრებაზე განხილვის დროს.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები ბალანსზე აღიარდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ღირებულებიდან ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით; ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით; ძირითადი საშუალებების ცვეთადი თანხა განისაზღვრება ნარჩენი ღირებულების გარეშე; ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების საწყის ეტაპზე განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: შენობების – 20 წლით, მანქანა – დანადგარების – 15 წლით, სოფლის მეურნეობის დანადგარები და აგრეგატები – 8 წლით, საწყობის აღჭურვილობა და ხელსაწყოები – 8 წლით, ავტომანქანების – 6 წლით, ხოლო საოფისე აღჭურვილობის და კომპიუტერული ტექნიკის – 6 წლით; ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და მენეჯმენტის გადაწყვეტილებით იცვლება საჭიროების შემთხვევაში. 200 ლარამდე ღირებულების შემენილი გრძელვადიანი აქტივები მიჩნეულია მცირეფასიან საგნებად და აღრიცხება მარაგის სახით; ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში ერთხელ ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

იჯარის აღრიცხვა

იჯარა აღრიცხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესაბამისად. ფასს 16-ის თანახმად გძელვადიანი (ფინანსური) იჯარა აღიარდება გრძელვადიან აქტივებში და იცვითება წრფივი მეთოდით.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

შვებულების დღეთა რაოდენობა საოპერაციო წლის განმავლობაში განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი – 30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი) შედგებოდა მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან და აღიარდა წლის მოგება ან ზარალში.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს(ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგების გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდის სახით მისი განაწილების განზრახვა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო აქტივი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების მიმართ, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო აქტივის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრება განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების გადახდის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი შედგება ყოველთვიურად ფინანსური დირექტორის პასუხისმგებლობით.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	2019	2018	2017
ნაღდი ფული და ექვივალენტები			
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	5,000	85,000	49,000
	5,000	85,000	49,000

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	483,000	610,000	375,000
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	153,000	-	-
რეზერვები მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებისთვის	(102,000)	(102,000)	(62,000)
დებიტორული დავალიანება მესაკუთრისგან კაპიტალის გაზრდისთვის		31,000	46,000
სხვა მოთხოვნები		1,000	
	534,000	540,000	359,000

5. ძირითადი საშუალებები

	2019	2018	2017
მიწა	29,000		
მანქანა დანადგარები და წარმების ხაზები	1,016,000	867,000	944,000
ავტომობილები და მსუბუქი ავტომანქანები	24,000	33,000	42,000
სასაწყობე აღჭურვილობა და ხელსაწყოები	19,000	24,000	31,000
საწარმოო და კომერციული აღჭურვილობა და ხელსაწყოები	19,000	10,000	2,000
კომპიუტერები და სხვა პერიფერიული მომწყ.	12,000	9,000	11,000
საოფისე აღჭურვილობა	8,000	9,000	9,000
	1,127,000	952,000	1,039,000

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018	2017
სახელფასო ვალდებულებები	20,000	1,000	-
ვალდებულებები მომწოდებლებთან	422,000	291,000	101,000
	442,000	292,000	101,000

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

შპს ველინგტონის

ფინანსური დირექტორი

A handwritten signature in blue ink, consisting of a large, stylized 'V' followed by several horizontal strokes.

მარიამ გრძელიშვილი